გორის მუნიციპალიტეტის
საკრებულო
განკარგულება № 96

2025 წლის 8 აგვისტო

ქალაქი გორი

გორის მუნიციპალიტეტის ქონების, ს/კ 66.45.21.315 არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის 10 კვ.მ პირობიანი აუქციონის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე, გორის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

გორის მუნიციპალიტეტის მერიაში 2025 წლის 28 მაისს შემოსულია განცხადება, რომელშიც 3 (სამი) თვის ვადით მოთხოვნილია, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, გორში, სტალინის ქუჩის მიმდებარედ, ს/კ 66.45.21.315 მიწის ნაკვეთის (ფართი: 10 კვ.მ) იჯარის ფორმით გადაცემა.

აუდიტური კომპანიის შპს „კომპაუდის" მიერ 2025 წლის 23 ივნისის N103-ქ უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო ღირებულების შეფასების დასკვნით, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ს/კ 66.45.21.315, დაზუსტებული ფართობი - 10 კვ.მ (მისამართი: გორი, სტალინის ქუჩის მიმდებარედ) საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვრა: 7500.00 (შვიდიათას ხუთასი) ლარით.

გორის მუნიციპალიტეტს არ აქვს დაგეგმილი ზემოთ აღნიშნული უძრავი ქონების რაიმე დამატებითი დანიშნულებით გამოყენება, ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსავლების მიღების მიზნით გორის მუნიციპალიტეტის მერიას და გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიზანშეწონილად მიაჩნია გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.21.315) 10 კვ.მ-ის აუქციონის ფორმით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემა, რისთვისაც „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო

საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების შესაბამისად, საჭიროა განისაზღვროს საწყისი საპრივატიზებო ღირებულება, და ქირის საწყისი წლიური საფასური.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-4 პუნქტის საფუძველზე, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1.მიეცეს თანხმობა გორის მუნიციპალიტეტის მერს, გორის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (გორში, სტალინის ქუჩის მიმდებარედ) მიწის ნაკვეთი, ს/კ 66.45.21.315 ფართობი: 10 კვ.მ. გაცემული იქნეს, სარგებლობის უფლებით, იჯარის ხელშეკრულებით, ელექტრონული აუქციონის ფორმით, 3 (სამი) თვის ვადით, კომერციული საქმიანობის მიზნით, კერძოდ ღია კაფეს მოწყობის მიზნით (მხოლოდ ქოლგების, მაგიდების და სკამების დასალაგებლად).

2. გორში, სტალინის ქუჩის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ 66.45.21.315) 10 კვ.მ-ის საწყისი საპრივატიზებო ღირებულება განისაზღვროს 7500 (შვიდიათას ხუთასი) ლარით.

3. საწყისი წლიური საიჯარო ქირა განისაზღვროს 2160 (ორიათას ას სამოცი) ლარით.

4. აუქციონის პირობად განისაზღვროს შემდეგი: მიწის ნაკვეთი იჯარის ფორმით გადაცემული იქნეს ღია კაფეს მოწყობის მიზნით (მხოლოდ ქოლგების, მაგიდების და სკამების დასალაგებლად). მოიჯარე ვალდებულია, საიჯარო ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდგომ, თავისი ხარჯებით, მოახდინოს მუნიციპალური ქონების გამოთავისუფლება და ჩაბარება პირვანდელ მდგომარეობაში.

5. გორის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, მუნიციპალიტეტი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს იჯარის ხელშეკრულება (რაც ორი კვირით ადრე ეცნობება მოიჯარეს).

6. იჯარის ფორმით გადაცემის ვადა განისაზღვროს 3 (სამი) თვის ვადით.

7. ეს განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.

8. ამ განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. გორი, ჯორბენაძის ქ. №30).

საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე